

გრიფით: საიდუმლო შიდა დოკუმენტი  
პროექტის ავტორი: ნინო ციხისთავი

- 1 -6

2005 წლის 9 იანვარი.  
მობილური: , [cwn@access.sanet.ge](mailto:cwn@access.sanet.ge)

საქართველოს პრეზიდენტს,  
ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს

საქართველოს პრემიერ მინისტრს,  
ბ-ნ ზურაბ უვანიას

საქართველოს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს,  
ბ-ნ გელა ბეჟუაშვილს

საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრს  
ბ-ნ ვანო მერაბიშვილს,

საქართველოს ფინანსთა მინისტრს,  
ბ-ნ ზურაბ ნოღაძელს

საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს,  
ბ-ნ კოტე გაბაშვილს

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს,  
ბ-ნ გივი თარგამაძეს

9 იანვარი, 2005 წ.

ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი გ ე გ მ ა -

ქართულ - აფხაზური და ქართულ - ოსური კონფლიქტების მოგვარუბის კუნომიკური ბურკლები:  
5 6 ა ბ ი კ ი

შინაარსი:

პრობლემა: .....- 1 -  
სტრატეგიული გეგმა: .....- 3 -

### პრობლემა:

დაწყებული 1995 წლიდან, დღევანდელი დღის ჩათვლით, სამოქალაქო სექტორის განვითარების მიზნით იზრდება რესურსების შედინება აფხაზეთში. იზრდება პროგრამების რაოდენობა და, თითქოს, აქამდე სინათლე მაინც კი უნდა გამოჩენილიყო 'გვირაბის ბოლოს'.

აფხაზეთის მხრიდან სახალხო დიპლომატიის ფორმატში მონაწილე ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც წლების მანძილზე ჩართულია ა/ს სექტორის ქართულ-აფხაზური დიალიგის ფორმატში, ყოველთვის უსაბუთებს. საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ უნდა გაიზარდოს შესაბამის

პროგრამათა დაფინანსება, რესურსი, რომელიც იდება მათი განვითარების ხელშეყობის (ტექნიკური, შემცნებითი, საერთაშორისო ინტეგრაცია და სხვ) მიმართულებით.

ამასთან, აფხაზური მხარის წარმომადგენლები ხაზგასმით და რეგულარულად აღნიშნავენ, რომ მათი პერსონალური მონაწილეობა ამ ტიპის აქტივობებში 'გმირობის' ტოლფასია, რომ მათ, მათსავე საზოგადოებაში, ყველა შეხვედრიდან სახლში (აფხაზეთში) დაბრუნებულებს, ძალიან მკაცრად ებყრობიან; აფხაზები საერთაშორისო ოგანიზაციებთან იძლევიან 'ზაპირებას'; რომ მათი საზოგადოებიდან წლიდან წლამდე ახალი და ახალი სახეები შემეტებება ამ მიმართულებას, რათა ეს ყველაფერი მართლაც გადაიზარდოს 'სახალხო' დიპლომატიაში, მხოლოდ, თუ შესრულდება მათი წინაპირობები, მოთხოვნები და, პირველ რიგში, თუ გაიზრდება დაფინანსება.

სამწუხაროდ, აღვნიშნავ, რომ წლების განმავლობაში ზემოთაღნიშნულის მსგავს პროგრამებში მონაწილენი ერთი და იგივე ადამიანები რჩებიან და რიცხობრივად ქართულ-აფხაზურ პროგრამებში მათი მხრიდან მონაწილეობა არა თუ გაიზარდა, არამედ დამკვიდრდა ე.წ. მონოპოლია: ყოველ ახალ წამოწყებას (თუ ეს არ ხდება იმ კონკრეტული აფხაზური ჯგუფის წინასწარი თანხმობითა და მათი მითითებების უპირობო შესრულებით) სერიოზული ბარიერები და, სამწუხაროდ, რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა მოსდევს. ეს მიდგომა, სხვა პრობლემებთან ერთად, იწვევს ქართული მხარის დაკინებული, კვაზი ფორმით მონაწილეობას ქართულ-აფხაზურ პროგრამებში. ამ პროცესის საპასუხოდ, ჩვენს საზოგადოებაში დამკვიდრდა ნიპილიზმი, ეჭვი, რომ მსგავს პროგრამებს არ შეუძლიათ რეალური პოზიტიური ცვლილებების მოტანა და პერპექტივაში უგოთესი მომავლის თუნდაც დანახვა.

ზემოთაღნიშნული არაპროპორციული მდგომარეობის მიზეზი მრავალი ფაქტორია, მაგრამ აქ შევჩერდებით ფულადი რესურსისა და, უფრო სწორად, უცხო ვალუტის ფაქტორზე.

ბოლო 10 წლის მანძილზე აფხაზეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდა პრაქტიკა, როდესაც აფხაზური მხარე ერთპიროვნულად ირჩევს ტექნიკურ, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს (პოტენციურ მონაწილეებს, პარტნიორებს) ორივე საზოგადოებიდან: საკუთარი (აფხაზური) და კონფლიქტის მონაწილე ქართული მხრიდან. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით მომუშავე, უკვე დამკვიდრებული ჯგუფი, ამასთანავე, წინააღმდეგობას უწევს ყველა ახალ ადამიანს მათივე (აფხაზური) მხრიდან, ერიდებიან, რომ შემთხვევით, არ გაიზარდოს საერთო რაოდენობა მსგავს პროგრამებში ჩართული ხალხისა, რომ 'სხვებმაც' არ განახორციელონ პროგრამები, და ან თუნდაც, მხოლოდ იმონაწილეონ არსებულ პროგრამებში. გარდა ამისა, არსებულ პროგრამებში მონაწილე აფხაზური მხრის ეს ერთი პატარა ჯგუფი მშვენიერ 'მიმიკრიას' ახორციელებს თავისავე ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მუდმივად გაიძახის, რომ სწორედ ისინი (ისე, როგორც ვერც ერთი (სხვა) სახელისუფლო სტრუქტურა აფხაზეთში) დგანან მათი ქვეყნის (დამოუკიდებელი აფხაზეთის) დამოუკიდებლობის სადარაჯოზე და, შესაბამისად, ამ როლი, მძიმე სამუშაოსთვის უცხოელი გულშემატკიცრებისაგან 'უმცირეს' ანაზღაურებასაც იღებენ. ამას თუ კიდევ დაემატება ის ფაქტორი, რომ აფხაზური მხარის დაუინებული მოთხოვნითა და რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების განსაკუთრებული ხელშეწყობით ყველა პროგრამა ჩანასახშივე 'გადაფორმატდა' ქართულ-აფხაზურიდან – საერთო-კავკასიურად – მაშინ ხომ საერთოდ არავის აღარავერი აქვს (ექნება) მათთან შესაღავებელი, მათ აფხაზეთში ვეღარ 'წამოაძახებენ', რომ ისინი 'მიდიან' ქართულ-აფხაზურ დიალოგზე.

ამრიგად, აფხაზებმა საერთო-კავკასიური შეხვედრების ფორმატი უფრო უსაფრთხოდ და ე.ი. აუცილებელ გარემოდ დამკვიდრეს.

ახლა რაც შეეხება საერთო-კავკასიური შეხვედრების ფორმატს, იგი არასოდე იძლევა შესაძლებლობას, დაკონკრეტდე საკუთარ პრობლემაზე სხვადასხვა ტექნიკური თუ მატერიალური (რესურსების სიმცირე: დრო, ფული და სხვ.) და, ან, პოლიტიკური მიზეზების გამო; ასევე,

არსებობს სხვა გამოცდილებაც, საერთო-კავკასიური შეხვედრების საპირისპირო არგუმენტად: პრობლემურ საკითხთა გამრავლება (აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთს, ყარაბახის, ჩეჩენეთის, ინგუშეთის, და სხვა და სხვა) ყოველთვის ნოუიერი ნიადაგია იმისთვის, რომ რაც შეიძლება უკანა პლანზე გადაიწიოს განსახილველმა აქტუალურმა და სრულიად კონკრეტულმა ქართულ - აფხაზურმა საკითხებმა, მათზე ფოკუსირებულმა მსჯელობამ და, ამის სანაცვლოდ, ზოგადად კავკასიის გლობალურ საკითხებზე საუბრით შეიქციონ თავი.

როგორ აღიქმება ეს ყოველივე აფხაზური მხრიდან:

- ეს ხელშეწყობა, დახმარებები, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან არ გადის საქართველოზე;
  - თუ დახმარება არ გადის საქართველოზე, ე.ი. აღიარებენ ჩემს პერსექტივას, როგორც თანაბარი სუბიექტისა და ან საერთოდ, დამოუკიდებელი სუბიექტისა საქართველოსთან მიმართებაში.
  - რუსეთი ჩვენსკენ იხრება, საერთაშორისოები მეხმარებებიან, ე.ი. სწორ გზაზე ვართ.
  - ერთადერთი, რასაც გვთხოვენ საერთაშორისო პროგრამებში ჩვენ, აფხაზებს, არის, ‘ოღონდ, არ ვიომოთ ქართველებთან, ავაშენეთ მშვიდობა’.
- ასეთია გავრცელებული აღქმა აფხაზეთში და არა მარტო იქ.

## სტრატეგიული გეგმა:

### სტრატეგიული გეგმა

ქართულ - აფხაზური და ქართულ - ოსური კონფლიქტების  
მოგვარების ეკონომიკური ბერკეტები:

I. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას მოეთხოვოს, რომ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე – სეცესიონებული რეგიონების ჩათვლით - მათი საქმიანობის ფინანსური ოპერაცია (მათ შორის, განსაკუთრებით, საქმიანობები კონფლიქტების ზონებში) განახორციელონ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

ასეთ სახელმწიფოებრივ მიდგომას მოჰყვება მთავარი შედეგი:

⇒ ეს პროცესი მოიტანს რიგ პოზიტიურ ცვლილებებს. დამკვიდრდება სიახლე თავად

საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის; საქართველოს ფართო საზოგადოებრიობისათვის კი აღარ იქნება უკომენტაროდ მიტოვებული, იგნორირებული, ხელისუფლების უძლურობის გამო მათი, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ის ორმაგი სტანდარტი, რომლითაც აქამდე ოპერირებდნენ.

- ⇒ კონფლიქტის ზონებში გაჩნდება ვალუტის გადამცველელი ჯიხურები, რასაც მოჰყვება საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალის გახსნა აფხაზეთსა და ცხინვალში, რაც ერთი წინ გადადგმული რეალური ნაბიჯია ფინანსური-ეკონომიკური ინტეგრაციისკენ.
- ⇒ ნაბიჯ-ნაბიჯ ამჟავდება საქართველოს საბანკო ინფრასტრუქტურა კონფლიქტის ზონებში;
- ⇒ ფინანსური ოპერაციების საბანკო გადასახადები ჩაირიცხება საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში.

## II. შემუშავდეს სპეციალური კანონი, რომელიც დაავალდებულებს საერთაშორისო პროექტებში მონაწილე კონფლიქტური ზონის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მოახდინონ სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი გადასახადების გადახდა.

- ⇒ ამ პროცესის ტექნიკურად გასაიოლებლად, შესაძლებელია, თავიდანვე დაიბეგროს პროექტის საბიუჯეტო გრაფაში მითითებული დარიცხული თანხა და მხოლოდ ხელშე გასაცემი თანხა გაიცეს ეროვნულ ვალუტაში. მაგ.: სახელფასო და საპონორარო ფონდებიდან 12% საშემოსავლო და სოციალური გადასახადი თავიდანვე დაიჭიოთოს ადგილზე (თბილისში) და აქციანვე შევიდეს ცენტრალურ ბიუჯეტში.
- ⇒ საერთაშორისო ორგანიზაციები კი, თავის მხრივ, გახდებიან ანგარიშვალდებულნი და მიღვომა პრობლემებისადმი, მათი მხრიდანაც, უფრო ძეგლად შეიცვლება.

## III. საქართველო პირველად შესძლებს, დოკუმენტურად, საერთაშორისო, აფხაზ, ოს და ქართველ საზოგადოებებს, წარუდგინოს დეტალური ინფორმაცია (მათ შორის, ფინანსური) რომ მან, საქართველომ, კეთილი ნება გამოავლინა და ხელი შეუწყო საერთაშორისო ორგანიზაციებს, შეუქმნა სამუშაო გარემო, დაეხმარა ადგილობრივ მოსახლეობას (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე), რომ განევითარებინათ სამოქალაქო საზოგადოება, განეხორციელებინათ პროექტები და ემუშავათ დემოკრატიული ღირებულებების დასანერგად და განსავითარებლად.

ა) ეკონომიკური სანქციების, ბლოკადის საკითხი აფხაზეთთან მიმართებაში, რომელსაც დღემდე მწვავედ აყენებს აფხაზეთის ხელისუფლება საერთაშორისო არენაზე - ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება: გაირკვევა, რომ 'თურმე', მთელი ამ პერიოდის მანძილზე (12 წლის მანძილზე) საქართველო ბლოკადას კი არ ახორციელებდა აფხაზეთის მოსახლეობის მიმართ, არამედ პირიქით, იმთავითვე გამოავლინა პოლიტიკური ნება, ხელი მოაწერა, და, ამით - შეუწყო ხელი იმ ურიცხვი რაოდენობის თანხისა და რესურსის შესვლას საერთაშორისო თანამევობრიბის მხრიდან აუღიარებელ ტერიტორიაზე(ებზე). თუმცა, ტექნიკურად ეს განხორციელდა საერთაშორისო

ორგანიზაციების მხრიდან – მხოლოდ, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე – ამის მიზანი კი ერთადერთი რამ იყო – საქართველოს ხელი შეუწყო აფხაზეთში სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახის განვითარებისთვის

ბ) ყოველწლიურად დაიდება იმ დახარჯული თანხის ციფრობრივი მაჩვენებელი, რომელიც მოხმარდა აფხაზი და ქართველი ხალის კონსტრუქციულ დიალოგსა და, ამასთან, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (საქართველოს ხელისუფლების ხელშეწყობით) სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესს;

**IV. ყველა ფინანსური ოპერაციის ქართულ ეროვნულ ვალუტაში განხორციელების შემთხვევაში, აფხაზურ საზოგადოებაში მოხდება ე.წ. ‘ლუსტრაცია’, და ფართო ასპარეზი მიეცემა იმ მრავალ ახალ ადამიანს, რომელიც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ქართულ-აფხაზური დიალოგის წარმატებაში და კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში.**

ა) გაიზრდება რიცხოვნობა სახალხო დიპლომატიაში მონაწილე ადამიანებისა, და ეს პროცესი გახდება უფრო ქმედითი და ეფუძტური და არა ჩაკეტილი, სტაგნაციური, კვაზი მოდელი, რაც ამჟამად გვაქვს.

ბ) სახ. დიპლომატიის ფორმატში ქართულ-აფხაზური დიალოგის ასამუშავებლად მონაწილეებზე დაიხარჯება ქართული ლარი, რაც კიდევ ერთხელ გაუცვავს ხაზს საქართველოს ნებას, ხელი შეუწყოს სამშვიდობო ინიციატივების გაღრმავებას.

**V. ამ მოდელის დანერგვის შემდეგ საქართველოს ბიუჯეტში შესული თანხა შესაძლებელს გახდის, რომ საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში გაჩნდეს ახალი გრაფა – სამშვიდობო ოპერაციებისა და კონფლიქტის მოგვარების ეროვნული ინიციატივების საბიუჯეტო ხარჯები.**

თუ ჩვენი ქვეყნა აცხადებს, რომ ის მხოლოდ მშვიდობიანად, პოლიტიკური ხერხებით მოაგვარებს კონფლიქტებს თავის ტერიტორიაზე, და ამავე დროს ხელცარიელია და არ გააჩნია სახსრები, მას ძნელად თუ დაუკერება. ხოლო როცა სამშვიდობო პროგრამებს მოემსახურება ყოველწლიური საბიუჯეტო თანხა, ეს უკვე მოგვცემს დიდ შესაძლებლობას და გაზრდის ნდობასა და სამომავლო პერსეუქტივებს ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე.

\*\*\*

ეს წინადადებები მოვამზადე 2003 წელს. წავაკითხე რამდენიმე ჭკვიან, გამოცდილ, კომპეტენტურ ადამიანს, რომელთა აზრი ჩემთვის ნამდვილად ღირებულია. მთელი ეს პერიოდი ხშირად ვუბრუნდები ზემოთხამოთვლილ ნაბიჯებს და ყოველთვის თავიდან ვრწმუნდები, რომ მათი განხორციელება არც თუ ისეთი ‘ფანტასტიკის’ სფეროა, როგორც შეიძლება თავიდან წარმოიდგინოთ. საქმარისად ვიცნობ რა საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის სპეციფიკას, ვფიქრობ, ვიცი მათთან თანაბარი თანამშრომლობის ბერკეტების ამუშავება.

გრიფით: საიდუმლო შიდა დოკუმენტი  
პროექტის ავტორი: ნინო ციხისთავი

- 6 -6

2005 წლის 9 იანვარი.  
მობილური: \_\_\_\_\_, [cwn@access.sanet.ge](mailto:cwn@access.sanet.ge)

თქვენი მხრიდან თუ მომეცემა შესაძლებლობა, რომ პირადად წარმოგიდგინოთ პროექტის ვრცელი ვარიანტი, უფრო მეტი ფაქტობრივი მასალით, რომელიც დაგროვდა ბოლო წლების მანძილზე, რომ წარმოდგენილ მასალასთან ერთად მეტი არგუმენტაცია მოგაწოდოთ ამ პროექტის დასაცავად, თავს ვალმოხდილად ჩავთვლი.

ერთადერთი, რითაც შემიძლია ჩემს შვილთან წლების შემდევ ვიამაყო, (როცა ის გაიზრდება, რა თქმა უნდა) არის ის ფაქტი, რომ სხვა თუ ვერაფერი გავაკეთე ამ ცხოვრებაში, ის მაინც შევძელი, რომ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან ჩემს პროვრამაში ჩართულ ადამიანებს ქართულ ლარში ვუნაზღაურებდი ხელფასს და მათ კუთვნილ საშემოსავლოს ცენტრალურ ბიუჯეტში კრიცხავდი ჯერ კიდევ 2002 წელს.

დიდი მადლობა ფურადლებისათვის,

პატივისცემით,

ნინო ციხისთავი

9 იანვარი, 2005 წ.